ქალაქ თბილისში შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით - დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი 19.09.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:</u>

გიორგი პაპავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>

მამუკა მუმლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);

მერაბ მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ნელი ღვინეფაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ვლადიმერ სირაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

<u>სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:</u>

გიორგი მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

მერი სულუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ირაკლი ბენდელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) - სატენდერო კომისიის წევრი;

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) - სატენდერო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისში შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით - დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) პირობების განხილვა და სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პაპავას გამოსვლა, რომელმაც სხდომას წარმოუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის წერილითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობები.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობები, მსჯელობის შედეგად შეიტანეს მასში ცვლილებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიამ დაადგინა:

1) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული რედაქციით.

2) მოხდეს სატენდერო კომისიის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა: NAT).

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	/გიორგი პაპავა/
კომისიის წევრი	/მამუკა მუმლაძე/
კომისიის წევრი	/მერაბ მამულაშვილი/
კომისიის წევრი	/ვასილ აბულაძე/
კომისიის წევრი	/ნელი ღვინეფაძე/
კომისიის წევრი	/ვლადიმერ სირაძე/
აპარატის წევრი	/გიორგი მამულაშვილი/
აპარატის წევრი	/მერი სულუაშვილი/

სატენდერო განცხადება

- ტენდერის ტიპი: ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე)
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 2728531 ლარი;
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ–ს ჩათვლით.
- შესყიდვის ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი: *34996000 - მართვისა და კონტროლის, უსაფრთხოების ან სასიგნალო მოწყობილობები გზებისთვის; 34996100 - შუქნიშნები.*

- შესყიდვის ობიექტის დამატებითი ინფორმაცია

  ქალაქ თბილისში შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით - დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის შესყიდვა.

- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა:
  იხ. სატენდერო დოკუმენტაცია

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:
  იხ. სატენდერო დოკუმენტაცია

- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: 10915 ლარი

- 2018, 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით